ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—პარასკევი, 20 ოქტომბერი 1900 წ. № 1273

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

Დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **ვ. არაგვისპირელის**

პირველი წიგნი

ფასი ათი შაური

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღდისი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

პ. ლ. მარკევიჩი — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 სათ.

საღამოთი:

ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ოქტომბერი

ლონდონი. ხმა არის, რომ მარკიზ სოლსბერის განზრახვა აქვს უარი სთქვას გარეშე საქმეთა მინისტრობაზე და შეირჩინოს მხოლოდ მინისტრ-პრეზიდენტის ადგილი.

ტიან ძინი. მიღებულია ზომები პაოტინფუში საპოლიციო სადარაჯოს დაწესებისათვის.

გენერალ ბალიუს თავმჯდომარეობით დაარსებულ იქმნა საერთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს ადგილობრივ მოხელეთა დანაშაულობა აქაურ უცხოელთა ამოწყვეტაში. კომისიამ განკარგულება მოახდინა დატუსაღებულ იქმნას გუბერნატორი, პროვინციელი მოსამართლე და კიდევ ორი სხვა მოხელე. კომისიის სხდომები საიდუმლოთ სწარმოებენ და მათი გარდაწყვეტილება არ გამოუქვეყნებიათ ჯერჯერობით.

მხედრავ ჯარის ცხენოსანი რაზმი, რომელიც 8 ოქტომბერს წამოვიდა პაოტინფუდან, მოვიდა აქ გუშინ ღამ. მას შეტაკება მოსვლია მტერთან; ორი კაცი დაჭრილია.

გუშინ წავიდა იჩეოუში იტალიელთა მხედრავი რაზმი, რომელიც 15 ჯარის კაცისა და 1 ოფიცრისაგან შესდგება. მან მიიღო ბრძანება შორის გზით მოუაროს მთებს. ხმა გავარდა, რომ ამ რაზმს გზაში გარშემოერტყნენ მოკრივენი; რაზმის განსათავისუფლებლად დღეს წავიდნენ 150 იტალიელი და 60 ინგლისელი.

პრიბურგი. აქაურს ოლქში ბურები თან და თან უფრო თამამდებიან. როგორც სჩანს, მათ განზრახვა აქვთ ალყა შემოარტყან ქალაქს. რადგანაც ქალაქის განკარგულებაში ჯარები არ არის, ამიტომ ახლო-მახლო მცხოვრები ფერმერები საშიშ მდგომარეობაში არიან. აქედან ოცი მილის სიშორეზე აღმოსავლეთისაკენ, მარგარირანდთან, ბურებს გაუერთებიათ ოთხი ძლიერი სიმაგრე. ქალაქიდან სურსათის გატანა აკრძალულია აგრეთვე ქალაქიდან გასვლა და ქუჩებში სიარული საღამოს 9 საათის შემდეგ. გვალვის გამო მოსავალს ცუდი პირი უჩანს. რკინის გზის ლიანდაგი ჯერ გაუფუჭებელია.

ბერლინი. ლიბნეხტის მაგიერ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ლედებური.

პეკინი. პაოტინფუზე გალაშქრება სასარგებლო გამოდგა. ჩინეთის ჯარებმა უბრძოლველად დაიწიეს უკან. პაოტინფუსთან და მისგან აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარმა გაჰფანტა მოკრივეთა დიდი ბრბო; მიუხედავად ამისა, ქალაქის მიდამოებში უკვე გაჩნდნენ მოკრივეთა რაზმები, რომელნიც აწუხებენ გარშემო მდებარე სოფლებს და თავს ესხმიან ევროპიელთა მცირე რიცხვოვან სადარაჯოებს. უცხოელთა მრავალი რაზმები სდევნიან მოკრივეთ, რათა საბოლოოდ მოსპონ ამ ადგილებში უწესოება. ამავე საგნისათვის პაოტინფუდან წამოვიდა ჯარი პეკინში.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ იქაურს ჩინურს გაზეთში დაბეჭდილია ბრძანება, რომელიც ვითომც იმპერატორს გაეგზავნოს პრინც ცინისათვის. ბრძანებაში ნათქვამია: იმპერატორსა ჰსურსო, რომ აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებნი დასჯილ უნდა იქმნან უთუოდ და რომ მან თვითონ დასაჯა ერთი დამნაშავე, რომელიც არავის დაუსახელებიაო; დაუსახელებელი დამნაშავე კიდევ ბევრია და იმპერატორი სთხოვს ცინს—მან დაასახელოს ყველა დამნაშავენი, მაგრამ საჯაროდ კი არა.

„ტაიმს“ ს ატყობინებენ პეკინიდან, რომ, როგორც სჩანს ჩინურ წყაროებიდან, პრინცი ცი, რომლის სიკვდილით დასჯასაც ევროპიელები თხოულობდნენ, უკვე გარდაცვლილაო. ელჩებს არა სჯერათ ეს ამბავი.

„ტაიმს“-ის დეპეშაში პეკინიდან, რომელიც დაბეჭდილია 16 ოქტომბრის ნომერში, გამოცხადებულია სიხარული იმის გამო, რომ უპირატესობას აძლევენ იმ ზომებს, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ლმობიერის გადაწყვეტისა ჩინეთის საკითხისა. გადაწყვეტილია ჩინეთს მოეთხოვოს იმ ზარალის ზღვევაც, რომელიც მოუვიდათ ევროპიელებთან მოსამსახურე ჩინელებს.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ შანჰაიდან: ლიხუნჩანგმა დეპეშით აცნობა ჩჟან-ჩჟინ-ლუნს, რომ მოლაპარაკების საქმე კარგად მიდის. სხვა წარჩინებულთ ლიხუჩანგმა კი უთხრა, მოლაპარაკების საქმე ვერ მიდის რიგიანადაო და საჭიროა ყოველ შემთხვევისათვის ზომები მივიღოთო.

პრეტორია. იტყობინებიან, რომ ბოტასთან მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. შტეინმა არც კი მიიღო პარლამენტიორები, შერიგებაზე მოსალაპარაკებლად მისულნი.

ლონდონი. „ჰავასის სააგენტო“ იტყობინება ვენიდან, ვითომც ვარნაში განზრახვა ჰქონიათ ბულგარიის მთავრის ფერდინანდის მოკვლისა; განზრახვა ვერ აუსრულებიათ და შეთქმულობა გამომჟღავნებულა.

მადრიდი. კარლისტები აცხადებენ, რომ დონ-კარლოსი არაფერ შუაშია კატალონიის მოძრაობაში. ბერგის ბრბოს, რომელიც შესდგება 300 კაცისაგან, მხნედ სდევნის მთავრობის ჯარი.

„ლიბერალ“-ი ამბობს, რომ, თუ დღეს მთავრობა მიიღებს საშიშ ცნობებს აჯანყების შესახებ, დროებით შეჩერებულ იქმნება კონსტიტუციის მოქმედებაო.

სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

ო ინგლის-გერმანიის შეთანხმების შესახებ მსჯელობას აღარ ათავებენ გაზეთები. მრავალ ნაირი აზრი გამოითქვა როგორც საერთოდ შეთანხმებაზედ, ისე იმის ცალ-ცალკე მუხლების შესახებ; ზოგიერთი ამბობს, ზოგი მეორეს; პოლიტიკურ მიმოხილვის ავტორები ხან აღფთოვანდებიან პატრიოტულის გრძნობებით და აღტაცებით ეგებებიან ხელშეკრულებას, ხან კიდევ სცდილობენ მასში აღმოაჩინონ ხელოვნურად შემუშავებული ინტრიგა. ზოგიერთმა ფრანგულმა გაზეთებმა განიხილეს შეთანხმების გამოცხადებული მუხლე-

ბი და, რა ვერა ჰპოვეს მასში ჯეროვანი აზრი, გაავრცელეს ხმა, რომ გამოცხადებულ მუხლების გარდა არსებობს შეთანხმების ფარული მუხლებიცო. ეს ხმა ელვასავით გავარდა მთელ ევროპაში და ისე გავრცელდა, რომ გერმანიის მთავრობამ საჭიროდ დაინახა უკუ ეგდო ეს ხმა ოფიციალურად. გამოქვეყნებულ შეთანხმების პუნქტებს ეჭვის-თვალით შეხედა აგრეთვე ამერიკის მთავრობამ. ვიდრე მონაწილეობას მიიღებდა შეთანხმებაში, ვაშინგტონის გარეშე საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა განმარტება მისთვის შეთანხმების მესამე მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო დაარღვევს ჩინეთის ხელშეკრულობის პირობას, შეთანხმებაში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები დამნაშავის წინააღმდეგო.

მართლაც, ეს მუხლი შეთანხმებისა მეტად ორ-მხრივია. იგი, ერთის მხრივ, გამოიწვევს დამაფიქრებელ მოსაზრებებს, მეორე მხრით კიდევ, არ შეიძლება ჩაითვალოს ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი მიმართულ მუქარად, რადგანაც ყველა სახელმწიფოები მომხრენი არიან ჩინეთის ხელ-შეუხებლობისა. ამერიკის მთავრობას უფლება ჰქონდა მოეთხოვა განმარტება, რადგანაც ვიდრე შეთანხმებაში მონაწილეობას მიიღებდა, უნდა გაეგო დაწვრილებით როგორც შეთანხმების პირობები, ისე მასში მონაწილეობის მიმღებ სახელმწიფოთა აზრიც. თუმცა ამერიკის მთავრობამ ასეთის სიფრთხილით მოჰკიდა ხელი საქმეს, მაგრამ, უეჭველია, იგი დაკმაყოფილდება მესამე მუხლის განმარტებით და მოისურვებს ინგლის-გერმანიის შეთანხმებაში მონაწილეობის მიღებას. არავითარი საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ ამ ხელ შეკრულებას ჰქონდეს საზარალო შედეგი რომელიმე სახელმწიფოსათვის. ზოგიერთმა რუსულმა გაზეთებმა ინგლის-გერმანიის შეთანხმებაში დაინახეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ისარი. ამაში ისინი, უეჭველია, დაარწმუნა ორიოდ სამმა გერმანულმა გაზეთმა, რომელთაც საქმის ვითარებაზედ მალიან დაშორებული წარმოდგენა აქვთ და რომელთაც, მოისურვეს რა ამაღლება გერმანიის-ინგლისთან შეთანხმებისა, შეაქეს იგი გადამეტებით.

რომ ეს შეხედულება შემცდარია, აშკარა შეიქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთმა არა ერთხელ გამოაცხადა თავისი განზრახვა ხელი შეუწყოს ჩინეთის ხელ-შეუხებლობას.

∝ ამ მოკლე ხანში პარიზში კონგრესი შეიკრიბა, რომლის საგანი იყო ხალხთა შორის მშვიდობიანობის აზრის გავრცელება. ერთმა ამ კონგრესის წევრთაგანმა მიშელ ბრეალმა წერილით მიჰმართა ჟურნალ «ტანის» რედაქტორს. ამ წერილში მოყვანილია ის უმთავრესი საგნები, რომლებმაც მიიპყრეს განსაკუთრებული ყურადღება კონგრესისა. მკითხველი მიხვდება, რომ ეს საგნები ეხებოდნენ ტრანსვაალის ომს და ჩინეთის საქმეებს. ჟურნალი «ტანი» მეტად გაცხარებულია იმ აზრით, რომელიც კონგრესზედ ჩინეთის საქმეების შესახებ გამოითქვა. ჩინეთის საქმეების განსახილველად დანიშნულმა კომისიამ ამგვარი მიზეზები დაასახელა ჩინეთისა და ევროპის შუა ჩამოვარდნილის უთანხმოებისა: 1) თავდაუჭერელი, ამხედრებული და უხეში ქადაგება სხვა და სხვა სარწმუნოების მისიონერთა, რომელნიც თავის ძალას ამყარებენ თავთავიანთის მთავრობის დიპლომატიურსა და სამხედრო ძალაზედ, არის დაუშრეტელი წყარო ჩინელთა და ევროპიელთა შორის უთანხმოებისა და სიძულვილისა; 2) ჩინეთში ჩასახლებული ევროპიელნი სტუმართ-მოყვარეობის ნაცვლად აყენებენ შეურაცხყოფას ჩინელებს, ეპყრობიან უდიერად მცხოვრებთ და თავისი მოქმედებით იწვევენ მათში უკმაყოფილებას.

«ტანი» დიდი განრისხებულია კონგრესზედ. რა უფლება ჰქონდა ამგვარის საქმეების განხილვისა, მისი საქმე იყო მარტო მშვიდობიანობაზე ელაპარაკნაო, ახა ვის დააჯერებს კონგრესიო, რომ რამდენიმე მისიონერმა მოუთმენლობა გამოიჩინეს და ამხედრებულს მოქმედებას მისდევდნენ ოთხას მილიონ ჩინელთ შორის, და თუ ხანდისხან უხერხულად იქცევიან, ერთი ათად აზღვევინებენ მათაო. სასაცილოა, რომ ჩინეთში ჩასახლებულ ორიოდე ევროპიელს აძებს რაიმე ბრალს კონგრესიო. რა ჭკუაში მოსასვლელია, აუარებელ ჩინელთ შორის ერთმა ან ორმა ევროპიელმა რამე გაბედოსო. ხშირად გვესმის ევროპიელების გაჟლეტა ჩინელთაგან, და ახა ვის გაუგონია თუგინდ ერთი ჩინელი მოეკლას ევროპიელსაო. კონგრესმა ასეთი უცნაური აზრები გამოსთქვა და მთავარი მიზეზი ჩინეთის საქმეების აწეწვა-დაწეწვისა კი უყურადღებოდ დასტოვაო: ეს მიზეზი «დიდი-მუშტის» უსაზღვრო ფანატიზმიაო. კაცმა რომ სთქვას, «ტანი» და, საზოგადოდ, ევროპიელნი არა ევროპიელთ ხომ კაცად არა სთვლიან, და ყოველივე უსამართლობა და უწესობა ევროპიელთაგან ჩადენილი მიჩნეულია, როგორც უმაღლესის სამართლიანობისა და კეთილშობილების გამომსახველი. ხოლო, არა—ევროპიელმა რომ ევროპიულ ბუზს ხელი აუქნიოს, ისიც მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვლება და მაშინვე ფანატიზმს, ველურობას, გაუნათლებლობას და სხვა მსგავსს წამოაყენებენ, სრულიად მარტივის მოვლენის ასახსნელად.

∝ ბერლინელი კორესპონდენტი «დაილი ნიუსისა» იწერება შემდეგს:

«მეტად საყურადღებო სანახავს წარმოადგენენ გერმანელი ოფიციოზური პრესსის ორგანოები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ დიდ-ბრიტანიის და გერმანიის შეთანხმება შესახებ ჩინეთის იმპერიის მთლად დატოვებისა სულაც არა ჰხდის გერმანიას მოვალედ წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის მისწრაფებას მანჯურიაში. ასე, მაგალითად, «ბერლინერ ნაუესტე ნახრიხტენ» აცხადებს: «რუსებისგან დაჭერას ჩინეთის ზოგიერთ ოლქებისა, თავიან სამზღვრებისა და ვაჭრობის და სამრეწველო საქმეების დასაცველად, თავის საფუძვლად აქვს აუცილებელი უფლება, ჩამორთმეული რუსეთისგან ჩინეთთან ხელ-შეკრულობის საშუალებით,—იარაღით დაიცვას თავის ინტერესები მისგან დაკავებულ ოლქებში. რუსეთის მიერ დაჭერილ ოლქებს ხომ გერმანიისთვის არა აქვთ არავითარი არც პოლიტიკური, არც სააღებ-მიცემო მნიშვნელობა.» ეს საბუთი მომყავს აქ იმიტომ, რომ იგი სავსებით შეესაბამება შეხედულებათა, რომელნიც გამოითქმებიან აქაურ, ბერლინერ ხელმძღვანელ წრეებში; ესენი გადაწყვეტით აცხადებენ, რომ გერმანიისა და დიდ-ბრიტანიის შუა არ არსებობს დამატებითი—საიდუმლო—შეთანხმება. ადვილად მჯერა ეს გამოცხადება, მაგრამ მეორეს მხრივ, მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ გერმანიისა და რუსეთის შუა კი არსებობს ნამდვილად საიდუმლო ხელ-შეკრულება, რომელიც ვალად სდებს პირველს არ შეუშალოს ხელი მეორეს მისწრაფებათა ჩრდილოეთ-ჩინეთში და რომელიც აძლევს რუსეთს სრულ თავისუფლებას მოქმედებისას ხსენებულ ოლქში. ამნაირი ვალდებულება ნაკისრები გერმანიისაგან რუსეთის მიმართ არ არღვევს ინგლის-გერმანიის შეთანხმებას, რადგანაც რუსეთი საკმაოდ დახელოვნებულია საიმისოდ, რომ ოფიციალურად არ გამოაქვეყნოს ადგილების დაკავება და პირდაპირ გაამაგროს თავისი მდგომარეობა მანჯურიაში.

∝ ამ ნაირვე აზრს გამოსთქვამს «ბერლინელი ტაგებლატ»-იც შესახებ რუსეთის პრესსისა ეს გაზეთი ამტკიცებს, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმებას აქვს საგნად მხოლოდ ეკონომიური ინტერესები და არა რუსეთის მტრობა. სფერა რუსეთის გავლენისა ჩრდილოეთ-ჩინეთში სულაც არ შეადგენს ინგლის-გერმანიის შეთანხმების საგანს და როცა ამაში დარწმუნდებიან პეტერბურგში, მაშინ იქაც უფრო მეტის თავაზით მოეპყრობიან ბერლინისა და ლონდონს შუა დადგენილ ხელ-შეკრულებას.

∝ ბ. ბონეფონი, ბერლინელი კორესპონდენტი «ფიგაროსი», თავისი მხრივ აცხადებს: გერმანიის სატახტო ქალაქის სანახევროდ ოფიციალურ წრეებში აღიარებენ, რომ გერმანიას არ აქვს განზრახვა ხელი შეუშალოს მანჯურიის ეკონომიურად შეერთებას რუსეთთან, მით უმეტეს, რომ თვით რუსეთის მთავრობამაც უარ-ჰყო ყოველი ადგილების შეძენა. გრაფ ბიულოვს სწადიან მისდიოს წინანდელს ტრადიციას და განამტკიცოს მეგობრობა, რომელიც ძველადგანვე ჰსუფევს ორ მეზობელ იმპერიათა შორის და არ უღალატოს ამ საქმეში თავ. ბისმარკისა და ჰოგენლოეს ანდერძს. ინგლის-გერმანიის შეთანხმება წარმოადგენს ზომას, მიღებულს ორი მეტოქე მთავრობისაგან ერთი მეორის წინააღმდეგ და ვისიმე შეშინება მას სულაც არა აქვს აზრად. დიპლომატიურ წრეებში ინგლის-გერმანიის შეთანხმებას სთვლიან ისეთ ნაბიჯად, რომელმაც უნდა გააძლიეროს ინგლისისა და გერმანიის გავლენა ჩინეთში წინააღმდეგ რუსეთისა, რომელმაც თავისი-თავი ჩინეთის იმპერიის დამცველად გამოაცხადა.

∝ «ვესტმინისტერა გაზეთი» სწერს ამავე საგანზედ:

ის სახელმწიფო, რომელსაც ინგლისი თავისავე სასარგებლოთ უნდა შესთანხმებოდა, არის რუსეთი და არა გერმანია. რუსეთს, თუნდაც რომ მან დროებით ხელი აიღოს ჩრდილოეთ-ჩინეთზედ, მაინც ყოველთვის დიდი ძალა ექნება მანჯურიაში და მუდამ დიდი გავლენა პეკინში.

∝ «ბერლინერ ლოკალ ანცეიგერი» ამბობს, რომ ინგლისის მთავრობამ იჯარით აიღო ნავთ-სადგური ჩინ-ვან-ტაო ლიაოტუნგის სრუტეში. ეს ნავთ-სადგური მის ამშენებლებს დაუთმიათ ინგლისისათვის მხოლოდ რვა თვით. იგი მისცემს შეძლებას გამართონ ახალი გზა პეკინისაკენ მას შემდეგ, როცა გაათავებენ იმ რკინის-გზის აშენებას, რომელიც ერთებს პეკინს შანჰაი გუანტთან.

∝ იაკოჰამიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ რუსეთის და იაპონიის ჯარების სარდლებმა შეკრეს ერთმანერთში პირობა, რომლის ძალით რუსეთმა ყური უნდა უგდოს იანმუნის და შანხაი-გუანის რკინის-გზას. მოკავშირე სახელმწიფოებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ რკინის გზით სამხედრო მიზნისთვის. რუსეთი ისარგებლებს რკინის გზით ნიუ-ჩვანგის ჩრდილოეთით და აცხადებს თანხმობას იქონიოს ჩილის პროვინციაში საკმაო მატარებლები მოკავშირე ჯარების საჭიროებისათვის.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 20 ოქტომბერს, ღვთივ განსვენებულის **იმპერატორის ალექსანდრე** მესამის გარდაცვალების დღეს, სიონის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

✦ ამას წინად ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს,რომ ტფილისის გამგეობას მოუვიდა ნება-რთვა დააარსოს საჯარო ბიბლიოთეკა. მას შემდეგ არა ერთხელ **დაჭრაგებიათ** ამ ბიბლიოთეკის დაარსებისათვის ამორჩეულ **კომისიის წევრებს** კრებაზე მოწვევის ბარათები, მაგრამ დალოცვილი მზრუნველნი ამ სიმპატიური საქმისა, ისე გაურბიან კრებებს, როგორც ჭირით ავადმყოფს, და მათი მეტის-მეტი გულმოდგინეობის წყალობით ამდენ ხანს არც ერთი კრება არ შემდგარა.

✦ **ავლაბრის მცხოვრებლებმა** წინადადება მისცეს ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მმართველთ, რომ ისინი დაუთმობენ უფასოდ სასწავლებლის ასაგებად საჭირო მიწას, თუ იქ გადაიტანენ სასწავლებელს.

✦ კავკასიის სამოქალაქო სამკურნალო მმართველობაში დაიწყო **რევიზია** მთავარ-მართებლის ბრძანებით.

✦ გუშინ-წინ, 18 ოქტომბერს, საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა ტფილისის გუბერნიის ექიმი ბ-ნი **ქაქომე.**

✦ დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება ამ საზოგადოების საბჭოსა და მოწვეულ მრეწველთა კრება, რომელზედაც გადასინჯულ იქმნება **კავკასიის მომავალი სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის** სამრეწველო განყოფილების პროგრამა. ეს პროგრამა შემდეგ წარედგინება საზოგადოების წევრთა და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების მეორე საზოგადო კრებას, რომელიც მოხდება კვირას, 29 ოქტომბერს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება მისცა **მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ტფილისის საზოგადოებას** გამართოს საქველმოქმედო ბაზარი საზოგადოების მიერ განზრახულის თავშესაფარის დასაარსებელ ფონდის გაძლიერებისათვის. ბაზარი გაიმართება დეკემბრის 1-ლ რიცხვებში, ბაზრისთვის შეწირულებას იღებს ხსენებულ საზოგადოების თავმჯდომარე კნ. მ. ე. ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

✦ გუშინ, 19 ოქტომბერს, საღამოს, ტფ. სავაჟო 1-ლ გიმნაზიის შენობაში გაიხსნა **საშუალო განათლების საზოგადო კურსები.** გარდახდილ იქმნა პარაკლისი და შემდეგ წაკითხულ იქმნა პირველი ლექციები სამღვთო-სჯულიდან და ფიზიკიდან.

✦ „მთავრობის განკარგულებათა და კანონთა კრებულის“ უკანასკნელს №-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ 1901 წლიდან **ამიერ კავკასიის ქალაქები** განთავისუფლებულ იქმნებიან საპატიმროთა განათებისა და გათბობისათვის დაწესებულ ხარჯიდან.

✦ ამ დღეებში ტფილისში მოელიან სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ახლად დირექტორად დანიშნულს **ბ. შუდგინს.**

✦ ფინანსთა სამინისტროში დაარსებულმა საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა განეხილა საკითხი **საკომერციო უმაღლეს სწავლის** გავრცელების შესახებ, დაასრულა თავისი შრომა და წარუდგინა პროექტი ფინანსთა სამინისტროს. პროექტით განზრახულია საკომერციო უმაღლეს სასწავლებლის დაარსება.

✦ **ქართული სახალხო წარმოდგენა** („პარიზელი ლატაკნი“) გაიმართება კვირას 22 ოქტომბერს და არა 29 ოქტომბერს, როგორც შეცდომით იყო გამოცხადებული ქართულ გაზეთებში. კვირას, 29 ოქტომბერს კი, ქართული სექცია ჰმართავს სახალხო კონცერტს.

✦ 17 ოქტომბერს ჩამოვიდა ტფილისში ფირმის „ჰელიოსის“ წარმომადგენელი ფონ-დენი, რომელსაც დავალებული აქვს კონტრაქტით შეეკრას ქალაქის გამგეობას **ტფილისის ქუჩების ელექტრონით განათების შესახებ.** იმავე დღეს ქალაქის თავმა დეპეშა მიიღო ფირმიდან, რომ აზოვო-დონის ბანკს განკარგულება მიეცით შეიტანოს ქალაქის კასსაში დამატებითი გირაო 15 ათასი მანათიო, რომლის რამდენიმე დღით დაგვიანებისათვის ფირმა ბოდიშს იხდის.

✦ ამ ბოლო ხანებში ტფილისში მეტად **გავრცელდა** ქუნთრუშა.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ერასსკიმ მიჰმართა თხოვნით ტფ. ქალაქის თავს,რომ მან წარუდგინოს საბჭოს **მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის მმართველების შუამდგომლობა** ამ ახალშენისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ. თავის თხოვნაში ბ-ნი ერასსკი ამბობს, რომ ახალშენში ნახევარზე მეტი ადგილი ტფილისის ბავშვებს უჭირავთო და ამიტომ ქალაქმა მეტი ხარჯი უნდა იკისროს, ვიდრე ეხლა იღებს ამ ახალშენისათვისო.

✦ ნება-დართულია სოფ. მარტყოფში გაიხსნას **საავადმყოფო** ხსენებულ სოფლის ხარჯით.

✦ შიხი ტუსიშვილის, ვლ. ბარათაშვილის, გრ. ოსიტაშვილის და ალ. ტერ-შმოვანოვის **ცნობილი** საქმე დაინიშნა განსახილველად ტფ. სამოსამართლო პალატაში 30 ოქტომბრისათვის.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოში, 17 ოქტომბერს, გაირჩა საქმე საპოლიციო სადარაჯო რაზმის ჯარის კაცთა კოვალიოვისა და მაკოვსკისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოფლის მცხოვრებთათვის **ფულების გამოტყუება.** სასამართლომ დამნაშავედ სცნო ისინი და მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება: კოვალიოვს $1^{1}/_{2}$ წლით, მაკოვსკის—1 წლით.

✦ ტფ. სამოსამართლო პალატაში, 18 ოქტომბერს, გაირჩა **საქმე კნ. ანნა თავდგირიძისა,** რომელსაც ჰბრალდებოდა ყალბის ვექსილით ფულის მიღების განზრახვა. პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლით კნ. თავდგირიძისა უდანაშაულოდ იქმნა ცნობილი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია **წესები,** რომლის ძალით ამის შემდეგ ვისაც ჰსურს გამოაცხადოს სხვა და სხვა წამლების გაყიდვა, განცხადება საცენზუროდ უნდა წარუდგინოს სამკურნალო მმართველობას. ეს წესები მოსვლია კავკასიის საექიმო ნაწილის მმართველობასაც სახელმძღვანელოდ.

✦ ორშაბათს, 23 ოქტომბერს, ტფილისის სახაზინო თეატრში გაიმართება **საქველმოქმედო წარმოდგენა** ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ უკვე გარდასწყვიტა **ქვის კედელი** (დამბა)ააშენოს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქ **გორთან,** რათა დაიცვან ეს ქალაქი წყალ-დიდობისაგან. საჭირო მასალა უკვე მოტანილია და პირველ-დაწყებითი მუშაობაც უკვე გათავებული, მაგრამ თვით კედლის ამოშენება ჯერ არ დაუწყიათ. ამიტომ გორის ქალაქის თავს ამ დღეებში თხოვნით მიუმართავს ტფილისის გუბერნატორისათვის—დააჩქარეთ განზრახულ საქმის განხორციელებაო.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა მე-7 ნაწილის ბოქაულს მიაქციოს ყურადღება, რომ მისი ნაწილის პოლიციელნი არ ატარებდნენ დროს წარა-მარა ლაპარაკში სამსახურის აღსრულების დროს, რაიც შეჰნიშნა თვით გუბერნატორმაც.

თეატრი

გუშინ, 18 ოქტომბერს, რუსულმა დასმა წარმოადგინა სათავად-აზნაურო თეატრში ცნობილი მელოდრამა „დამნაშავის ოჯახი“. ბ-ნ დალსკის ერთობ სუსტი ტრუპა ჩამოუყვანია და ამიტომ მაინც და მაინც არ ესაყვედურება ტფილისის საზოგადოებას, რომ იგი დიდათ არ ეტანება რუსულ წარმოდგენებს (საკვირველია, რომ დამსწრე საზოგადოებას მხოლოდ სულ პატარა უმცირესობას შეადგენენ რუსები). თვითონ დალსკი ნიჭიერი და გამოცდილი არტისტია, მისს თამაშს ყოველთვის ინტერესით ადევნებს თვალყურს მაყურებელი. გუშინდელ წარმოდგენის დროსაც ყველა დალსკის შესცქეროდა და მართლაც ძლიერად და გრძნობით შეასრულა კორრადოს როლი; განსაკუთრებით კარგი იყო იგი იმ მომენტების დროს, როცა იგი მრისხანებას, გულ-მოსულობას ხატავდა. სინაზეს ეგრე კარგად ვერ ჰხატავს არტისტი.

დანარჩენი აღმასრულებლები სუსტენი და უფერულნი იყვნენ.

საღამოს დეპეშები

19 ოქტომბერი

პეტერბურგი. ამურის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ინოკენტი დაუძლურებისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

პრინცესა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგელისა, რომლის მფარველობის ქვეშ იმყოფება წითელი ჯვრის შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და ავადმყოფ მეომართა დამხმარებელი კომისია, აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს მომავალ საშობაო დღესასწაულებზე შორეულ აღმოსავლეთში მყოფ დაჭრილ და ავადმყოფ მეომართ გაუგზავნონ თბილი ტანისამოსი, თამბაქო, პაპიროსები და სხვა, კეთილი ინებონ შეწირულებანი გამოგზავნონ „წითელი ჯვრის“ სამმართველოს უმთავრესს საწყობში, საინჟინერო ქუჩა, № 9.

პრეტორია. როგორც იტყობინებიან, გენერალი ბოტა დიდის რაზმით იმყოფება კენგარგის ოლქის გზაზე, სადაც შეურიგებელ ბურთა რაზმს განზრახვა აქვს თავს დასხმა მოახდინოს.

პრეტორია. ბოტამ აღვიარა მოლაპარაკების დროს პარლამენტიორებთან, რომლებიც პეჯეტმა გაუგზავნა მას, რომ ყველაფერი გათავებულია, მაგრამ მოლაპარაკება შეუძლებელია, ვიდრე მოიპოვებიან მებრძოლნი, რომელთ ჰსურთ ომის გაგრძელება.

ვილსონი, რომელსაც მხარს უჭერს პრეზიდენტი შტეინი, თხოულობს ომის გაგრძელებას. შტეინმა უარი განაცხადა პროკლამაციის წაკითხვაზედ იგი არ იხრის თავს, მაგრამ რამდენიც დრო მიდის, იმდენი უძნელდება მოქმედება და მეომრების წაქეზება ომის გასაგრძობად.

როგორც იტყობინებიან, სატენკამპი, კაპის მეამბოხეთა წინამძღოლი, რომელიც გაიქცა ბლუმფონტენის აღების დროს, ამ ჟამად იმყოფება ბურებთან პიტერსბურგში. ამბობენ, რომ მათ აქვთ ჩვიდმეტი ზარბაზანი.

პეკინი. პაოტინფუში დარჩა გერმანიის მეორე ბრიგადა, ერთი ესკადრონი და მეორე ნაწილი მინდვრის არტილერიის პოლკისა.

იუშპინფუ, შანჰაი-გუანიდან დასავლეთით 80 კილომეტრის სიშორეზე, ცინგზუნგთან, დაიჭირეს ინგლისელებმა და გერმანელთა ქვეითა ჯარის ორმა რაზმმა.

ლონდონი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ დღეს პასუხი მისცა ინგლის-გერმანიის შეთანხმების ნოტაზედ. რაც შეეხება პირველ ორ მუხლს პასუხი იგივეს შეიცავს, რასაც რუსეთის და შეერთებულ შტატების პასუხი. მესამე მუხლის შესახებ საფრანგეთი ამბობს, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ თუ მოხდა რამე ისეთი, რაც გამოიწვევს მუხლის შეცვლას, მაშინ საფრანგეთი თხოულობს თავისათვის სრულ თავისუფალ მოქმედებას. აქ ამ მოვლენას ასე ხსნიან, რომ საფრანგეთმა, რადგანაც, არ იცის რა საგანი აქვს ამოღებული მიზანში მესამე მუხლის არა ჰსურს ხელფეხი შეიკრას რაიმე პირობებით და ამიტომ ვერ დაეთანხმება ამ მუხლს შეთანხმებისას, რომელიც, ალბად, მხოლოდ ინგლისის და გერმანიისათვის არის სახეირო.

ბარსელონა. გუბერნატორმა აღმოაჩინა ორი საწყობი ყველა სისტემის თოფებისა, ხმლების და სხვა საომარ მასალისა. კარლისტების შეთქმულობა უნდა განხორციელებულიყო ნოემბრის პირველ კვირაში. ერთსა და იმავე დროს თავს უნდა დასხმოდნენ ქალაქის საბჭოს, მოქალაქობრივს გუბერნატორს და გენერალ-გუბერნატორს.

ვენა. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო დარაჯთა და ჩერნოგორიის ჯარის კაცთა შორის შეჯახება მართლდება. შეჯახება მოსვლიათ მოსაზღვრე მცხოვრებლებს, რომელთა შორის უთანხმოება გამოწვეულა ტყის მფლობელობის შესახებ.

დრო. რედ. **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი № 2 **ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი № 1 **ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი № 3 **ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევს 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 **ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.). ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 **ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 **ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

განცხადებანი

სანერგე ამერიკული ვაზებისა

ბაღი „ჟგურული“

სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა.

გაიყიდება შემოდგომაზედ ამა 1900 წლისა ასი ათასი დამყნილი ამერიკული

ვაზი

ადგილობრივი ჯიშის., სახელდობრ: საფერე, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე, მაღლარი, (ანდასეული) და ევროპიული ჯიშისა: კაბერნე, სემილიონი, პინო და უმეტეს ასი სხვა-და-სხვა ჯიშის სტოლის ღვინოებისა და ამერიკული ნაყოფის მომცემ ვაზებისა. აქვე შეიძლება დაკვეთა სხვა-და-სხვა ამერიკულ და ევროპიულ სანამყენოსი, აგრეთვე დამყნილი და ძირეული ვაზებისა 1901 წლისათვის.

წერილების და დეპეშების ადრესი:—ქუთაისი, ვ. ტიებო.
(12—5)

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია
და მოგზაურობა

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ალნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოლოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.
ურბნელი ნ. მგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჰიჰინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მამადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, ყდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ,
მირიანაშვილი ალ. ჭაური და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწავის ჭიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბანა», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «განა», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონა», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინა», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენა», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თანა», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Октября 1900 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.